პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პოლიტიკა

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს იმ წესებსა და პირობებს, რომლის საფუძველზეც, კომპანია მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის მიზნით, შეაგროვებს და დაამუშავებს მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს. თუ თქვენ სარგებლობთ კომპანიის მომსახურებით თქვენი/თქვენი ოჯახის წევრის დამსაქმებელ ორგანიზაციასა და შპს „ფიტპასს ჯორჯიას“ (ს/კ: 406271895) შორის გაფორმებული კორპორატიული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, მაშინ თქვენთვის მომსახურების გაწევის მიზნით, კომპანია თქვენს პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს ამ დოკუმენტში მოცემული პირობების შესაბამისად.
2. კომპანია აგროვებს და დაამუშავებს მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ მომსახურების გაწევის, გაწეული მომსახურების მონიტორინგისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, სტატისტიკის წარმოების და ნებისმიერი სხვა იმ მიზნისთვის, რაც არ სცდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის სრულფასოვანი მომსახურების გაწევის მიზანს. კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ არ გამოიყენებს პერსონალურ მონაცემებს ნებისმიერი სხვა მიზნისთვის, არ გადასცემს მას ნებისმიერ სხვა პირს თუ ეს არ არის განპირობებული კანონმდებლობის მოთხოვნით და სხვაგვარად არ დაარღვევს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებს.
3. კომპანია უფლებას იტოვებს შეაგროვოს და დაამუშავოს შემდეგი მონაცემები:
   - მომხმარებლის სახელი და გვარი;
   - მომხმარებლის დაბადების თარიღი;
   - მომხმარებლის პირადი ნომერი;
   - მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი;
   - მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
   - მომხმარებლის კომპანიის პარტნიორ სუბიექტში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია.
   - მომხმარებლის ფოტო.
4. კომპანია მომხმარებლის მონაცემებს გაუმჟღავნებს მხოლოდ მის პარტნიორ სუბიექტებს მხოლოდ იმ მიზნით, რათა მოხდეს მომხმარებლის იდენტიფიცირება. კომპანია აგრეთვე უფლებას იტოვებს მომხმარებლის მონაცემები ინფორმაცია გაუმჟღავნოს ნებისმიერ სხვა მესამე პირს, თუ ეს საჭიროა კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად და მომხმარებლისათვის სრულფასოვანი მომსახურების გასაწევად.
5. კომპანია ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. კომპანია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, დაამუშაოს მომხმარებლის შესახებ 3-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (კერძოდ - მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი),

მათ შორის, შესაბამისი კორპორატიული მომსახურების ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგ.

7. გარდა 6-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მომხმარებლისათვის ნებისმიერი მიზეზით მომსახურების მიწოდების/ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებლების პერსონალურ მონაცემების განადგურებას გონივრულ ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ კი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამ მონაცემების შენახვის ვალდებულებას.
8. კომპანია უფლებას იტოვებს, მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის შეწყვეტის/მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაცია გაუმჟღავნოს შესაბამის დამსაქმებელს (ორგანიზაციას) რომელთანაც გაფორმებული არის კორპორატიული მომსახურების ხელშეკრულება.
9. მომხმარებლების პერსონალურ მონაცემთა შენახვა განხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში შემავალ რომელიმე ქვეყანაში არსებულ ბაზაზე.[1]
10. მომხმარებლის პერსონალური მონაცემების წაშლა/განადგურება გულისხმობს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების წაშლას/განადგურებას მათ შორის 9-ე პუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყანაში მდებარე სერვერზე.

[1]სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა დამტკიცებული არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №03 ბრძანებით.